

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 27/06

ქ.თბილისი,

17 იანვარი, 2025 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) ქ. თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზირი N1, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა სალინაძის სახით და მეორეს მხრივ, სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი (შემდგომში „მიმწოდებელი“) ქ. თბილისი, კოსტავას ქ.67, 0160, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, პაატა ლომაძის სახით, სატენდერო წინადადების საფუძველზე, ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური შემთხვევის დაზღვევის მიზნით ელექტრონული ტენდერის (NAT 240024032) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელს აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 **მზღვეველი/მიმწოდებელი** – სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ (ს/კ 204426674)

1.7 **დამზღვევი/შემსყიდველი** – სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (თსუ).

1.8 **დაზღვეული** – ხელშეკრულების დანართ N2-ში მითითებული პირები, რომლებიც იმყოფებიან დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში (შემდგომში „თანამშრომლები“) და ასევე, თანამშრომელთა ოჯახის წევრები, რომელთა სასარგებლოდაც ხორციელდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა.

1.9 დაზღვეულ თანამშრომელთა სტატუსები:

1.9.1. **თანამშრომელი** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალი, ემერიტუსები, თსუ რექტორი მრჩეველთა საბჭოს წევრები და ზოგიერთი შტატგარეშე თანამშრომელი, (თსუ) დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

1.9.2. **ოჯახის წევრები** – თანამშრომლის (მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლის) მეუღლე (ასაკი 70 წლამდე) და შვილ(ებ)ი/გერ(ებ)ი (18 წლამდე), თანამშრომლის მშობლები (ასაკი 65 წლამდე), და/მმა (ასაკი 65 წლამდე), რაც (ნათესაური კავშირი) დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაციით.

1.9.3. **შტატგარეშე თანამშრომელი** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შტატგარეშე თანამშრომელი.

1.9.4. **მოსარგებლე** – დაზღვეული, ხოლო სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში - მემკვიდრე, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.10. **ხელშეკრულების საგანი** – მზღვეველის/მიმწოდებლის ვალდებულება გაუწიოს დაზღვეულს ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური შემთხვევის დაზღვევით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურება;

1.11. ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი (შემდგომში „ბარათი“) - ბარათი, რომელიც აიტვირთება მზღვეველის ოფიციალურ ვებ გვერდზე <https://mygpi.ge/> რეგისტრირებული „აპლიკაცია MyGPI“ საშუალებით ან პორტალზე <https://mygpi.ge/> და რომელის ნახვა და ჩამოტვირთვა შეეძლება დაზღვეულს, ამ ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დასტურად და რომელიც მოქმედებს დაზღვეულის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად.

1.12. **სადაზღვევო შემთხვევა** - დაზღვეულთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე განსაზღვრული სამედიცინო ჩარევათა ერთობლიობა (კვლევა, მკურნალობა), ხოლო მზღვეველის/მიმწოდებლის მხრივ - სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველი წინამდებარე ხელშეკრულებით (და მისი დანართების პირობებით) განსაზღვრული შემთხვევების და პროგრამების შესაბამისად;

1.13. **სადაზღვევო პერიოდი** – 09.02.2025 00:00 საათიდან – 08.02.2026 24:00 საათამდე, რომლის განმავლობაშიც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა არის ძალაში;

1.14. **სადაზღვევო თანხა** – წინამდებარე ხელშეკრულებასა და პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი/მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

1.15. **სადაზღვევო პრემია** – ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული და დაზღვევის ბარათში მითითებული თანხის ოდენობა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გასაცემი ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს კონკრეტული სადაზღვევო მომსახურებისთვის. ბარათში მითითებული ლიმიტები წარმოადგენს მხოლოდ ბარათის მფლობელის კუთვნილებას.

1.16. **სადაზღვევო ანაზღაურება** – დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

1.17. **გეოგრაფიული ლიმიტი** – საქართველოს ტერიტორია (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და სამოგზაურო დაზღვევისათვის დადგენილი პირობებისა); ასევე, საქართველოს საზღვრებს გარეთ , ჩატარებული მომსახურების ანაზღაურებას საქართველოში მოქმედი წამყვანი კლინიკების საშუალო ფასით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ შეძენილი მედიკამენტები ანაზღაურდება საქართველოში ანალოგიური აქტიური ნივთიერების მქონე მედიკამენტის საშუალო ფასით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.18. **სამედიცინო დაწესებულება** – საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულება, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მინიჭებული აქვს სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლება (ლიცენზია).

1.19. **ექიმი** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სერთიფიცირებული ექიმი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს საექიმო საქმიანობა (გარდა საზღვარგარეთ კონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებებში მიღებული ექიმ(ებ)ის მომსახურებისა, თუ ამ დამატებით დაფარვას ითვალისწინებს ეს ხელშეკრულება).

1.20. **სამედიცინო კონტრაქტორი** - მზღვეველთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სამედიცინო დაწესებულება და/ან სერთიფიცირებული ექიმი, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოფს დაზღვეულისთვის მიმართვის საფუძველზე ამ სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურებას.

1.21. **მომართვა/საგარანტიო წერილი** - დაზღვეულის მოთხოვნის საფუძველზე და სათანადო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით მზღვეველის მიერ გაცემული ვადიანი წერილობითი ან ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურების მოცულობას, დამოწმებულია

შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, წარედგინება კონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებას.

1.22. **უბედური შემთხვევა** - შემთხვევითი და წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევა დაზღვეულისაგან დამოუკიდებელი გარეგანი მიზეზით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება და რომელსაც ადგილი აქვს დაზღვევის პერიოდში;

1.23. 1 **საწოლ-დღე** - კლინიკაში 1 დღე-ღამის განმავლობაში დაყოვნება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სამტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის (დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გარდა), ემერიტუსების, თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრების და ზოგიერთი შტატგარეშე თანამშრომლის ჯანმრთელობის, დაზღვევის მომსახურების შესყიდვა (CPV 66512220).

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას შემსყიდველი მიმწოდებელს აწვდის ინფორმაციას დაზღვეულ თანამშრომელთა სრულ სიას ცხრილის სახით (დანართი N2), ასევე გადაუზღავნის სიის ელექტრონულ ვერსიას მიმწოდებლის შეთანხმებულ ელ.ფოსტის მისამართზე, ცხრილი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

2.2.1 დაზღვეულ პირთა სახელი, გვარი;

2.2.2 პირადი ნომერი;

2.2.3 დაბადების თარიღი, მისამართი, ტელეფონი;

2.2.4 სამუშაო ადგილი და თანამდებობა;

2.2.5 ოჯახის წევრის შემთხვევაში - სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, სტატუსი დაზღვეულ თანამშრომელთან მიმართებაში.

2.2.6 დანართ N2-ში მითითებული დაზღვეულ პირთა სია წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, დამზღვევი/შემსყიდველი პასუხისმგებელია და პასუხისმგებლობას ადასტურებს ხელმოწერით, რომ აღნიშნული სია შეესაბამება და არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულების პირობებს. 2.2.7. შემსყიდველის მიერ დანართი N2 მიწოდებული უნდა იქნას არაუგვიანეს **2025 წლის 31 იანვრისა**, ხოლო მზღვეველი/მიმწოდებელი იღებს პასუხისმგებლობას, რომ მის მიერ ხსენებული სია გამოყენებული იქნება მოქმედი, შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული მიზნებისა და დანიშნულების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სრული ღირებულება შეადგენს **1 338 000.00 (ერთი მილიონ სამასოცდათვრამეტი ათასი) ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე.**

3.2 ხელშეკრულების სრული ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს საშემოსავლო გადასახადის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 კონტროლს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, განახორციელებს დამზღვევის მიერ გამოყოფილი, 2015 წლის 28 ივლისის თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N 89/02-01-ით დამტკიცებული, ჯანმრთელობის დაზღვევის მონიტორინგის ჯგუფი, რომელთა მიერ შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და პირობები.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმი გამოიყენოს დაზღვეულის ცალკეული მოთხოვნის საფუძველზე.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომელიც უნდა დაფიქსირდეს წერილობითი ფორმით.

5.2 შემსყიდველის მიერ დაზღვეულთა სიაში (დანართი N 2) ცვლილებები (დამატება/გაუქმება) განხორციელდება ყოველთვიურად - დამატება ხორციელდება **09** რიცხვში, ხოლო გაუქმება ხორციელდება **08** რიცხვში.

დაზღვეულ პირთა სიაში ცვლილებების (დამატება, გაუქმება) მოთხოვნა მზღვეველს უნდა ეცნობოს ელექტრონული პორტალის საშუალებით (რომელიც განთავსებულია მისამართზე corporate.gpih.ge) ან წერილობით, მზღვეველის მიერ მითითებული ფორმით, ცვლილებების ძალაში შესვლამდე **3** სამუშაო დღით ადრე. ვადის დარღვევის შემთხვევაში ცვლილება განხორციელდება მომდევნო ცვლილების თარიღში (ამ თარიღისთვის განსაზღვრული დაზღვევის პირობებით).

5.3 შემსყიდველის შტატგარეშე თანამშრომლის ან/და მისი ოჯახის წევრების, სადაზღვევო მომსახურების დაწყების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველი ორი თვის განმავლობაში, დაზღვეულ პირთა დამატება განხორციელდება თვეში ერთხელ, არაუგვიანეს 2025 წლის **09 მარტისა**.

5.4 შემსყიდველის მიერ დაზღვეულ თანამშრომელს შეუძლია, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველი ორი თვის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის **09 მარტისა** დაზღვიოს ოჯახის წევრები, შვილი/შვილები, მშობელი/მშობლები და/მმა წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1 და N 3-ის პირობებით. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანალოგიური პირობებით. სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული. დაზღვეულ პირთა დამატება განხორციელდება თვეში ერთხელ შეტყობინების მიღების შემგომ მომდევნო **თვის 09 რიცხვში**.

5.5 შემსყიდველის მიერ დაზღვეულ თანამშრომლებს შეუძლიათ მოითხოვონ გაუმჯობესებული პაკეტით მომსახურება შესაბამისი თანხის დამატებით ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველი ორი თვის განმავლობაში, ხოლო ახალმიღებული თანამშრომელი გაუმჯობესებული პაკეტის შეძენას შეძლებს მხოლოდ დაზღვევისთანავე. სადაზღვევო პაკეტის ცვლილება განხორციელდება არაუგვიანეს 2025 წლის 09 მარტისა.

5.6 დაზღვეული თანამშრომლის მიერ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 თვის შემდეგ, მთელი პერიოდის განმავლობაში ოჯახის წევრების დაზღვევა განხორციელდება დაოჯახების ან შვილის შეძენის შემთხვევაში, ამ ფაქტის დადგომიდან პირველი ერთი თვის განმავლობაში (პირად მონაცემებთან ერთად ქორწინების და/ან ჯვრისწერის მოწმობის, ან დაბადების მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე).

6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი.

7. მხარეთა უფლება – მოვალეობები

7.1. მზღვეველი/მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. ხელშეკრულების გაფორმების და დაზღვეულ პირთა სრული სიის მიღებიდან (დანართი N2) არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური შემთხვევის დაზღვევის მომსახურების გაწევა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვე.

7.1.2. მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში დაზღვეულს უარი უნდა განემარტოს წერილობითი სახით;

7.2. მზღვევლი/მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- 7.2.1. დაზღვეულის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში, მზღვევლი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები.
- 7.2.2. ანაზღაურების გაცემამდე გადაამოწმოს სადაზღვევო შემთხვევისა და დანახარჯების მიზნობრიობა და სისწორე.
- 7.2.3. შეაჩეროს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა თუ დამზღვევი დაარღვევს ამ ხელშეკრულებაში მოყვანილ რომელიმე პირობას.
- 7.2.4. მოითხოვოს დაზღვეულისაგან სამედიცინო მომსახურების მიღების დამადასტურებელი სრულყოფილი სამედიცინო დოკუმენტაციის წარდგენა. მოიძიოს და გაეცნოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელსაც მზღვევლი/მიმწოდებელი ჩათვლის საჭიროდ სადაზღვევო ანაზღაურებისათვის.
- 7.2.5. დაზღვეულთა სიაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია თანამშრომელთა დანიშვნა/განთავისუფლების შესახებ.

7.3. დამზღვევი/შემსყიდველი ვალდებულია:

- 7.3.1. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია მზღვევლთან/მიმწოდებელთან შეთანხმებული წესის მიხედვით;
- 7.3.2. საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მზღვეველს/მიმწოდებელს დაზღვეულის შრომითი ხელშეკრულების ასლი.
- 7.3.3. ხელი შეუწყოს მზღვეველის/მიმწოდებლის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მომიებას;
- 7.3.4. სადაზღვევო მომსახურების კოორდინაციისა და ხარისხის მუდმივი კონტროლის მიზნით გამოყოს მზღვევლთან/მიმწოდებელთან საკონტაქტო პირი ადმინისტრაციულ საკითხებზე (ინვოისებსა და ცვლილებებზე) სერვის-მენეჯერი სალომე საცერაძე ssatseradze@gpih.ge, სამედიცინო პრეტენზიებს აფიქსირებთ შემდეგ ელ.ფოსტაზე: quality@gpih.ge

7.4. დამზღვევი/შემსყიდველი უფლებამოსილია:

- 7.4.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მზღვეველისაგან/მიმწოდებლისგან სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;
- 7.4.2. გააუქმოს თანამშრომლის (როგორც სამტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის, ასევე შტატგარეშე პერსონალის) და/ან მისი ოჯახის წევრის დაზღვევა, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას უპირობოდ, ხოლო დაზღვეულის მიმართვის შემთხვევაში, თუ დაზღვეულს არა აქვს მიღებული სადაზღვევო მომსახურება ან მისთვის მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებული თანხის ოდენობა არ აღემატება მის სასარგებლოდ გადახდილ სადაზღვევო პრემიას.
- 7.4.3. საჭიროების შემთხვევაში დამზღვევი/შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია დაზღვეული პირების მიმართვიანობის სტატისტიკური მონაცემების შესახებ.
- 7.4.4. შემსყიდველი უზრუნველყოფს დაზღვეულთა ხელფასიდან შესაბამისი დამატებითი ან/და გაუმჯობესებული სადაზღვევო მომსახურების ღირებულების დაკავებას და მზღვეველისათვის გადარიცხვას. დაზღვეული ვალდებულია:
- 7.4.5. დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს/მიმწოდებელს მიანიჭოს უფლება მოიძიოს და გაეცნოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელსაც მზღვევლი/მიმწოდებელი ჩათვლის საჭიროდ სადაზღვევო ანაზღაურებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვევლი/მიმწოდებელი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები.

7.5. დაზღვეული უფლებამოსილია:

- 7.5.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით წაუყენოს მზღვეველს/მიმწოდებელს განცხადებული პრეტენზია;
- 7.5.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.
- 7.5.3. შეარჩიოს ნებისმიერი სადაზღვევო პაკეტი. დაზღვეულს შეუძლია ოჯახის წევრების იგივე პაკეტით დაზღვევა, რაოდენობის შეუზღუდავად, სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული.

8. სავალდებულო მოთხოვნები:

8.1. თსუ-ს დაზღვეული თანამშრომელი უფლებამოსილია შეარჩიოს ნებისმიერი სადაზღვევო პაკეტი. დაზღვეულს შეუძლია ოჯახის წევრების იგივე პაკეტით დაზღვევა, რაოდენობის შეზღუდვად, სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული.

8.2. ყველა სხვა სადაზღვევო შემთხვევა რაც გამონაკლისებში არ მოიაზრება, მათ შორის დაზღვევამდე არსებული დაავადებების მკურნალობის, დაზღვევის პერიოდში მიმდინარე ორსულობის მონიტორინგის და მშობიარობის ხარჯები, ქრონიკული დაავადებების მკურნალობა ექვემდებარება წინამდებარე დაზღვევით დაფარვას სადაზღვევო პაკეტის პირობების შესაბამისად.

8.3. საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) გაცემის შესაძლებლობა ოჯახის ექიმის მიერ დამატებითი გადასახადის გარეშე.

8.4. საჭიროების შემთხვევაში პირადი ექიმის მიერ დაზღვეულზე ფორმა N IV-100ა-ს გაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების სრული დაცვით, გადასახადის გარეშე.

8.5. შემსყიდველი უზრუნველყოფს დაზღვეულთა ხელფასიდან შესაბამისი დამატებითი ან/და გაუმჯობესებული სადაზღვევო მომსახურების ღირებულების დაკავებას და მზღვეველისათვის გადარიცხვას. დაზღვეულის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში დაზღვეულის ან/და მისი ოჯახის წევრ(ებ)ის სურვილისამებრ, მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული, პირობებით (პირობა ერთვის დანართად - იხ. დანართი #3-1)

8.6. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში დაზღვეულს უარი უნდა განემარტოს წერილობითი სახით.

9. პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებები

9.1 სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების ჩამონათვალი, მოიცავს სპეციალიზირებულ (კარდიოლოგია, ონკოლოგია, ნევროლოგია, ნეიროქირურგია, გინეკოლოგია, ოტორინო-ლარინგოლოგია, უროლოგია და სხვა) და მრავალპროფილიანი კლინიკებს, ქალაქ თბილისის მასშტაბით 68, ხოლო საქართველოს თითოეულ რეგიონალურ ცენტრში ერთობლივად 201 კლინიკა. (რეგიონალურ ცენტრებად განისაზღვრება ის ქალაქები, სადაც მდებარეობს თითოეული რეგიონის სამხარეო/რეგიონალური ადმინისტრაცია (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი, ქ. ზუგდიდი, ქ. მცხეთა, ქ. ახალციხე, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. ამბროლაური, ქ. ოზურგეთი, ქ. რუსთავი)).

9.2. დაზღვეული მიიღებს მომსახურებას, ქ.თბილისში 68 პროვაიდერ კლინიკაში და საქართველოს რაიონებში არანაკლებ 133 პროვაიდერ კლინიკაში N4 დანართის შესაბამისად. (სულ საქართველოს მასშტაბით 201 დაწესებულება, მათ შორის ქ. თბილისში 68, ხოლო სტომატოლოგიური კლინიკა 35, მათ შორის თბილისში არანაკლებ 16). ქ. თბილისში პროვაიდერი კლინიკა თანამედროვე, უახლესი სტანდარტების მქონე აპარატურით, მაღალი ტექნოლოგიით (კომპიუტერული ტომოგრაფია- აღჭურვილი შემოთავაზებულია 16 პროვაიდერ კლინიკაში, მაგნიტურ რეზონანსული კვლევა - 9 პროვაიდერ კლინიკაში, ციფრული რენტგენი, თანამედროვე ლაბორატორია, ექოსკოპია და სხვა) და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

9.3. ქალაქ თბილისში შემოთავაზებული პროვაიდერი დაწესებულებები იხილეთ დანართი N4:

9.3.1 მრავალფუნქციური სამედიცინო დაწესებულება - 85 (იგულისხმება დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნება 85 ამბულატორიული და 93 ჰოსპიტალური მომსახურების მიღება მათ შორის ნევროლოგია, ნეიროქირურგია);

9.3.2 ამბულატორიული პედატრიული სამედიცინო მომსახურების მიღება, შესაძლებელია 7 სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალური პედატრიული სამედიცინო მომსახურების მიღება. ასევე, 1 სამედიცინო დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნება ბავშვთა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მომსახურების მიღება (გამომახება);

9.3.3 ყელ-ყურ-ცხვირის სამედიცინო მომსახურება: 3 სამედიცინო დაწესებულებაში;

9.3.4 ოფთალმოლოგიური სამედიცინო მომსახურება: 4 სამედიცინო დაწესებულებაში;

- 9.3.5 სამშობიარო სამედიცინო მომსახურების მიღება: 7 სამედიცინო დაწესებულებაში;
- 9.3.6 კარდიოლოგიური სამედიცინო მომსახურების მიღება, რომელიც უნდა მოიცავდეს თერაპიულ კარდიოლოგიას, კარდიოქირურგიას, ინტერვენციულ კარდიოლოგიას და ლაბორატორიულ ინსტრუმენტალურ კვლევებს: - 5 სამედიცინო დაწესებულებაში;
- 9.3.7 უროლოგიური და ნეფროლოგიური სამედიცინო მომსახურება: 2 სამედიცინო დაწესებულებაში;
- 9.3.8 სხივური თერაპიის ჩატარება: 2 სამედიცინო დაწესებულებაში;
- 9.3.9 ონკოლოგიური სამედიცინო მომსახურება: 2 სამედიცინო დაწესებულებაში;
- 9.3.10 სამედიცინო ლაბორატორია - ქ თბილისი, ო.ლორთქიფანიძის 31 მდებარე სს ციურხის სამედიცინო კვლევითი ცენტრი;-აკრედიტაციის მოწმობა GAC-ML-0018 ძალაშია 01.07.2028წ
- 9.3.11 4 საფირმო სახელწოდების მქონე სააფთიაქო ქსელთან მიმართებით და რეცეპტით მედიკამენტის შეძენის შესაძლებლობა - შპს „კსკ ფარმა“ (სრული ქსელით); ჯიპისი, (სრული ქსელით); ფარმადეპო, (სრული ქსელით); შპს „ავერსი-ფარმა“ სრული ქსელით.
- 9.3.12. მომსახურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, სადაზღვევო კომპანიამ უნივერსიტეტის დაზღვეულებისათვის უზრუნველყო: უახლესი სტანდარტების მქონე აპარატურით და მაღალი ტექნოლოგიით (ციფრული რენტგენი, თანამედროვე ლაბორატორია, ექოსკოპია, რიგის მართვის სისტემა და სხვა, ასევე სასურველია ჰქონდეს კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული კვლევის შესაძლებლობა) აღჭურვილ კლინიკაში, 76 ოჯახის ექიმის (მათ შორის არანაკლებ პედიატრი) განთავსება, კერძოდ:
- ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის: მთაწმინდის, საბურთალოს, კრწანისის, ისნის, სამგორის, ჩუღურეთის, დიდუბის, ნაძალადევის, გლდანის რაიონებში, კერძოდ: შპს მედინვესტმენტი (ყოფილი დ.ტატიშვილის ვაკის ფილიალი) - თ.აბულაძის ქ. N 7 -1(ერთი) ოჯახის ექიმი; სს ვერე XXI - ლეო ქიაჩელის ქ.#18 - 3(სამი) ოჯახის ექიმი; შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროცვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა - წინანდლის N 9 -3 (სამი) ოჯახის ექიმი; სს კურაციო - ო.ლორთქიფანიძის ქ. #31 - 46(ორმოცდაექვსი) ოჯახის ექიმი; შპს პირველი სამედიცინო ცენტრი - ც. დადიანის ქ. 255 -1(ერთი) ოჯახის ექიმი; შპს „მედისონ ჰოლდინგი“ - მუხიანი - ა.გობრონიძის ქ.#27- 2 (ორი) ოჯახის ექიმი; შპს სამედიცინო ცენტრი მედიმედი - მარჯანიშვილის ქ#9-2(ორი) ოჯახის ექიმი; შპს მედკაპიტალი გლდანი - გლდანის რ- ნი, ილია ვეკუას ქ.#18 - 2(ორი) ოჯახის ექიმი; შპს მედკაპიტალი სამგორი - მოსკოვის გამზ. 4კვ. კორპ.#3 -3(სამი) ოჯახის ექიმი; შპს მედკაპიტალი დიდუბე - წერეთლის გამზ.#138 - 3(სამი) ოჯახის ექიმი; შპს საოჯახო მედიცინის ქართულ-ამერიკული კლინიკა - ბერბუკის #10 (ამერიკული კლინიკა) - 6; შპს მარმედი - დიდი დილომი დემეტრე თავდადებული 22ა -3(სამი) ოჯახის ექიმი.
- ბ) ქ. რუსთავში - შპს „კლინიკა რუსთავი “ (მის: რუსთავი, მე-7 მ/რ) - 1(ერთი) ოჯახის ექიმი; და ქ. ქუთაისში - შპს ლჯ და კომპანია, პეტრე ჩხოზაძის ქუჩა N20 - ერთი ოჯახის ექიმი.

10. ანგარიშსწორება, ფასები

10.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში განხორციელდება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის (დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გარდა), ემერიტუსების, თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრების და ზოგიერთი შტატგარეშე თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება - დანარტი N2 - დაზღვეულთა სია.

10.2. ხელშეკრულების 10.1 პუნქტით განსაზღვრულ არაუმეტეს 2'000 პირისათვის, დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო თანხის ოდენობა თვეში შეადგენს: **55,75 ლარს.**

10.3. ხელშეკრულების ფარგლებში დამზღვევის მიერ სადაზღვევო თანხის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ყოველთვიურად, დაზღვეულთა სიასთან ერთად წარდგენილი ინვოისის საფუძველზე, რომლის წარმოდგენა მოხდება ყოველი მომდევნო თვის არაუგვიანეს 05 რიცხვისა, ანგარიშსწორებმა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის სრულყოფილად წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. შესაბამისი

ანგარიშსწორების დოკუმენტში მიეთითება დამზღვევის მიერ შესაბამის თვეში გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა, დაზღვეულ პირთა ოდენობის გათვალისწინებით.

10.4. დამზღვევი/შემსყიდველი უზრუნველყოფს თსუ-ს შტატგარეშე თანამშრომლებისა და დაზღვეულის მიერ ოჯახის წევრთა დაზღვევისათვის გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის გადმორიცხვას შესაბამის თვეში .

10.5. მზღვეველი ვალდებულია წარმოადგინოს ორი ინვოისი, კერძოდ:

(1) შემსყიდველის მიერ დაზღვეულ პირებზე - საბაზისო პაკეტის ღირებულება;

(2) თსუ-ს შტატგარეშე თანამშრომლების და ორივე სახის თანამშრომელთა ოჯახის წევრების დაზღვევის ღირებულება, აგრეთვე პაკეტი N1 და პაკეტი N2 ღირებულება.

შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადმორიცხოს ორივე ინვოისის შესაბამისი თანხა მზღვეველის ანგარიშზე, ორი შესაბამისი ოდენობის წილის გადმორიცხვით.

შემსყიდველი უზრუნველყოფს დაზღვეულთა ხელფასიდან შესაბამისი დამატებითი ან/და გაუმჯობესებული სადაზღვევო მომსახურების ღირებულების დაკავებას და მზღვეველისათვის გადარიცხვას, მათ შორის, შემსყიდველი უზრუნველყოფს თსუ-ს შტატგარეშე თანამშრომლებისა და დაზღვეულის მიერ ოჯახის წევრთა დაზღვევისათვის გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის დაკავებას და მზღვევის ანგარიშზე გადმორიცხვას.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, გამოყენებული იქნება: სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს მიერ 2024 წლის 06 იანვარს გაცემული GB 5700/25 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, თანხით 66 900.00 ლარი; ვადით: **01.02.2025** წ-დან **01.05.2026** წ-ის ჩათვლით.

11.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.

11.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს დაუბრუნოს გარანტია შემდეგ შემთხვევებში:

ა) გარანტიის მოქმედების ვადის გასვლისთანავე;

ბ) მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას;

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისა;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან **13** თვის განმავლობაში.

12.2. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის/პირობების დარღვევის შემთხვევაში.

12.3. იმ შემთხვევაში თუ მზღვეველი არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4. შემსყიდველი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეატყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე 2(ორი) კვირით ადრე.

12.5. მიმწოდებელს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

12.6. მიმწოდებელი ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს შემსყიდველს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე 2(ორი) კვირით ადრე.

12.7. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ნებისმიერ დროს. შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გრძელდება, მხოლოდ შეწყვეტამდე არსებულ სადაზღვევო შემთხვევებზე/სადაზღვევო პრემიის გადახდაზე, მიმდინარე პროცედურების/ანგარიშსწორების დასრულების მიზნით. ასეთ შემთხვევაში დაზღვეულები სარგებლობენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულმა გამოიწვია დაზღვეული თანამშრომლის ზარალი (როგორც ფინანსური, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება) მზღვეველი სრულად 100%-ით ანაზღაურებს ფინანსურ ზარალს დაზღვეული თანამშრომლის წინაშე;

13.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით გამოწვეული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.02 %- ის ოდენობით.

13.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატიურად შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა _ ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ის ოდენობით.

13.4 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია, დააკისროს შემსყიდველს ჯარიმის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

13.5 მზღვეველს უფლება არა აქვს ჩაანაცვლოს ერთი პროვაიდერი კლინიკა მეორე პროვაიდერი კლინიკით, შეამციროს ან გაზარდოს პროვაიდერი კლინიკების რაოდენობა დამზღვევთან დამატებითი შეთანხმების გაფორმების გარეშე.

13.6 მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების 10.5 და 13.5 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი აფრთხილებს მზღვეველს, ხოლო ასეთი დარღვევის განმეორების შემთხვევაში, დამზღვევი უფლებამოსილია დააყენოს ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი და/ან დააკისროს მზღვეველს ჯარიმა, ყოველ შეცვლილ პროვაიდერზე **2'000 ლარის ოდენობით**.

14. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავები გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ფორს-მაჟორი

15.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

15.2 დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

15.3 დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ.

15.4 მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ფორს მაჟორული გარემოებათა დადგომამდეც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

16. დასკვნითი დებულებები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, რის შემდეგაც ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16.2 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად დამზღვევისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16.4 შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.

16.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

16.6 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ახლავს შემდეგი 5 (ხუთი) დანართი:

- 1) ფასების ცხრილი - სადაზღვევო პაკეტი (დანართი N1)
- 2) დაზღვეულთა სია (დანართი N 2);
- 3) გასაწევი მომსახურების აღწერილობა, ტექნიკური დავალება (დანართი N 3);
- 4) პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებათა სია (დანართი N 4);
- 5) სამედიცინო დაზღვევის სფეროში საქმიანობის განხორციელების ლიცენზია (დანართი N 5);
- 6) ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია (დანართი N 6);

ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სს სადაზღვევო კომპანია ჯიპია ჰოლდინგი
რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური	სს თიბისი ბანკი
თსუ საკუთარი სახსრები; სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება	GE13TB110000005700652
კოდი:TRESGE22	კოდი:TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548	საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674

ლაშა სალინაძე

დანართი #1

ფასების ცხრილი - სადაზღვევო მომსახურების პაკეტი

გასაწევი მომსახურების დასახელება/ პაკეტი		გაუმჯობესებული პაკეტი N1		გაუმჯობესებული პაკეტი N2		„ბაზისური“				
დაზღვევის ხელშეკრულება გათვალისწინებული დაფარვები		დაფარვა	ლიმიტი (ლარი)	დაფარვა	ლიმიტი (ლარი)	დაფარვა	ლიმიტი (ლარი)			
ასისტანსი 24/7 ცხელი ხაზი		100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო			
პირადი ექიმის მომსახურება		100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო			
სასწრაფო სამედიცინო მომსახურება		100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო			
პროფილაქტიკური კვლევები		100%	წელიწადში ორჯერ	100%	წელიწადში ორჯერ	100%	წელიწადში ორჯერ			
გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება		100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო			
ამბულატორიული მომსახურება	გეგმიური ამბულატორიული მომსახურება არაპროვაიდერ კლინიკებში	80%	3 500	60%	2 500	50%	2 000			
	გეგმიური ამბულატორიული მომსახურება პროვაიდერ კლინიკებში	100%		90%		65%				
	გეგმიური ამბულატორიული მომსახურება გამონაკლისების გარეშე კურაციოში	100%		90%		65%				
	გეგმიური ამბულატორიული ონკოლოგიური მომსახურება არაპროვაიდერ კლინიკებში	80%	4 000	60%	3 000	50%	2 000			
	გეგმიური ამბულატორიული ონკოლოგიური მომსახურება პროვაიდერ კლინიკებში	100%		90%		65%				
ჰოსპიტალური მომსახურება	გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება	100%	25 000	100%	20 000	100%	15 000			
	გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება ჩათვლით	100%		100%						
ორსულობა/შშობიარობა		100%	1 400	100%	1 300	100%	1 100			
მედიკამენტები		80%	3 500	75%	2 500	60%	2 000			
გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება		100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო	100%	ულიმიტო			
გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება	პროვაიდერ კლინიკებში	90%	2 500	2	60%	2 000	2 000	60%	1 500	1 500
	არაპროვაიდერ კლინიკებში	50%	700	500	40%	600	30%	500		
ორთოპედია/ორთოდონტია/იმპლანტაცია პროვაიდერ კლინიკებში		10-40%	ულიმიტო	10-40%	ულიმიტო	10-40%	ულიმიტო			
ფიზიოთერაპია, ჰიდროთერაპია და მასაჟი		10-40%	ულიმიტო	10-40%	ულიმიტო	10-40%	ულიმიტო			
სამოგზაურო დაზღვევა - 50 000 აშშ დოლარი/ევრო (ვრცელდება მხოლოდ თანამშრომლებზე)		60 დღე (სადაზღვევო პერიოდი)		30 დღე (სადაზღვევო პერიოდი)		14 დღე (სადაზღვევო პერიოდი)				
სიცოცხლის დაზღვევა - გარდაცვალება (ვრცელდება მხოლოდ 75 წლამდე თანამშრომლებზე)		4 000		3 000		2 000				
ყოველთვიური სადაზღვევო პრემია ინდივიდუალურ ბარათზე		100.75		80.75		55.75				
ყოველთვიური სადაზღვევო პრემია ერთი ოჯახის წევრის დაზღვევის შემთხვევაში საოჯახო ბარათზე		201.5		161.5		111.5				
ყოველთვიური სადაზღვევო პრემია საოჯახო ბარათზე ორი ან მეტი ოჯახის წევრის დაზღვევის შემთხვევაში		322.4		258.4		178.4				

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაუმეტეს 2'000 (ორი ათასი) თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება;

1. სადაზღვევო მომსახურების სახეები

1.1 ასისტანსი – 24/7 ცხელი ხაზი - ითვალისწინებს სადღეღამისო სატელეფონო სამედიცინო კონსულტაციას (მათ შორის ექიმის სატელეფონო კონსულტაციის შესაძლებლობა), სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებულ პრობლემატური საკითხების მოგვარებას, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, 24 საათიანი სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას, გადაუდებელი და გეგმური სამედიცინო დახმარების ორგანიზაციას (ბინაზე კონსულტაციისა და ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევების უზრუნველყოფის ჩათვლით). დაზღვეულის ინფორმირება პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების და საჭიროების შემთხვევაში დაზღვევით სარგებლობის წესების შესახებ.

2. ოჯახის ექიმის მომსახურება

2.1 თითოეულ დაზღვეულზე პირადი ექიმის გამოყოფა (მათ შორის პედიატრის); შეუზღუდავი ვიზიტების რაოდენობა; მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობა, რისკ ფაქტორებისა და ქრონიკულ დაავადებათა სკრინინგი; დაზღვეულის ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში დაზღვეულის ინტერესების დაცვისა და პატრონაჟის ფუნქციის შესრულება ;

2.2 დაზღვეულთათვის ოჯახის ექიმის (მათ შორის პედიატრის), ვიზიტი დაზღვეულის ბინაზე, სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში, დანიშნულების მიცემა, მკურნალობის უზრუნველყოფა და კონტროლი, საავადმყოფო ფურცლის გახსნის შესაძლებლობა (საჭიროების შემთხვევაში). ოჯახის ექიმებს უნდა გააჩნდეთ ოჯახის/პერსონალური ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატები. ოჯახის/პერსონალური ექიმთან მიმართვის შემთხვევაში დაყოვნების პერიოდი უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 1(ერთი) დღით;

2.3. დაზღვეულს ასევე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს დისტანციურად პირადი ექიმის მომსახურებით, დაზღვეული უკავშირდება პირად ექიმს, რომელიც ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს დაზღვეულს საჭირო კვლევებითა და მიმართვებ(ებ)ით, პირადი ექიმის დისლოკაციის ადგილებში და პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებებში.

2.3. დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის უწყვეტი სამედიცინო მონიტორინგი, ჩასატარებელი გამოკვლევების, მკურნალობის ხარისხის და მიზანშეწონილობის კონტროლი.

2.4. თითოეულ დაზღვეულზე ამბულატორიული ბარათის/ანკეტა-ისტორიის შექმნა, საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) გაცემა დამატებითი გადასახადის გარეშე, პროფილაქტიკური გასინჯვა და კლინიკო- ლაბორატორიული გამოკვლევები საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტების კონსულტაციისა და ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევების ორგანიზაცია, შესაბამისი მიმართვის მიცემა, მედიკამენტების შესაძენად რეცეპტის გამოწერა ;

2.5. სამედიცინო კონსულტაციებით უზრუნველყოფა; რთული დიაგნოზის შემთხვევაში კონსილიუმის მოწვევა; ჰოსპიტალიზაციის შემდგომი რეაბილიტაცია ;

2.6 დაზღვეულსა და სადაზღვევო კომპანიას შორის ურთიერთობის გაადვილება, დაზღვეულის დახმარება და ინტერესების დაცვა სამედიცინო მომსახურების ყველა ეტაპზე ;

2.7 სამედიცინო რეკომენდაციები ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის ;

3. პროფილაქტიკური გამოკვლევა

3.1. პროფილაქტიკური გამოკვლევები - სამედიცინო ჩვენების გარეშე დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით ჩატარებული გამოკვლევები, პირადი (ოჯახის) ექიმის მიმართებით, ოჯახის ექიმის სამსახურის კლინიკებში.

- სპეციალისტის კონსულტაცია;
- სისხლის საერთო ანალიზი;
- შარდის საერთო ანალიზი;
- ელექტროკარდიოგრამა;
- ერთი სისტემის ექოსკოპია;
- პროთრომბინის განსაზღვრა სისხლში; - შაქრის განსაზღვრა სისხლში;

4. ამბულატორიული მომსახურება

4.1 სამედიცინო მომსახურება, რომელიც სამედიცინო ჩვენების მიხედვით არ საჭიროებს სამედიცინო დაწესებულებაში 1 საწოლ-დღეზე მეტი ხნით დაყოვნებას.

ამბულატორიული მომსახურება მოიცავს გეგმიურ და გადაუდებელ ამბულატორიულ მომსახურებას. ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციებს, კვლევებს (მათ შორის ყველა სახის მაღალტექნოლოგიურ კვლევებს, როგორც არის კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული კვლევა და სხვა), ინექციებს, მანიპულაციებს, ყველა საჭირო პროცედურას, ქირურგიულ ამბულატორიულ ყველა სახის ოპერაციებს და სხვა მანიპულაციებს. დაზღვევამდე არსებული დაავადებების მკურნალობას. ქრონიკული დაავადებების მკურნალობა ექვემდებარება წინამდებარე დაზღვევით დაფარვას სადაზღვევო პაკეტის პირობების შესაბამისად.

4.2 გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება – ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდში სიცოცხლისთვის საშიში და შეუთავსებელი გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური და სხვა) ზემოქმედების შედეგად ან ჯანმრთელობის მდგომარეობის უცაბედი გაუარესებისას საჭირო გადაუდებელ ამბულატორიულ, ქირურგიულ და თერაპიულ (ყველა სახის კლინიკური, ინსტრუმენტული, ლაბორატორიული გამოკვლევებისა და ამბულატორიული მანიპულაციების, ქირურგიული ოპერაციების და სხვა) მომსახურების, ხარჯების ანაზღაურებას პოლისის პირობების შესაბამისად.

4.3 გეგმიური ამბულატორიული მომსახურება – ითვალისწინებს, ერთი საწოლ დღეზე ნაკლები პერიოდით სამედიცინო დაწესებულებაში მომსახურებას, სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების კონსულტაციის, შესაბამისი სამედიცინო ჩვენებისას ლაბორატორიული კვლევა (მათ შორის D ვიტამინის განსაზღვრა), ინსტრუმენტული გამოკვლევების, დღის სტაციონარული მომსახურების, სამედიცინო მანიპულაციების, ინექციების, ყველა საჭირო პროცედურის, ყველა საჭირო ამბულატორიული ქირურგიული ოპერაციების და სხვა მანიპულაციების ხარჯების ანაზღაურებას პოლისის პირობების შესაბამისად.

შაქრიანი და უშაქრო დიაბეტთან, თირკმლების ქრონიკული უკმარისობასთან, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებთან, სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს დაზღვეულისათვის სადაზღვევო კომპანია ფარავს იმ ნაწილს, რომელიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამების მიერ;

ნებისმიერი სახის პროთეზირებასთან დაკავშირებული ხარჯები (ეგზოპროტეზების გარდა) იფარება სადაზღვევო

პოლისის ლიმიტის ფარგლებში (მათ შორის პროთეზის თანხის ანაზღაურება); ოჯახის ექიმისა და სხვადასხვა პროფილის სპეციალისტის მიერ სამედიცინო ჩვენებით დანიშნული ყველა მედიკამენტის ხარჯების ანაზღაურება ამბულატორიული მომსახურების პუნქტით არ განხორციელდება.

4.4 გეგმიური ამბულატორიული ონკოლოგიური მომსახურება – ითვალისწინებს ონკოლოგიურ დაავადებებთან (მათ შორის კეთილთვისებიანი სიმსივნეები) დაკავშირებულ სამედიცინო მომსახურებას. ყველა საჭირო, ონკოლოგის მიერ დანიშნულ ლაბორატორიულ, ინსტრუმენტულ კვლევებს (მათ შორის ყველა სახის მაღალტექნოლოგიურ კვლევებს, როგორც არის კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული კვლევა მათ შორის პეტ-კტ და სხვა) და ინექციებს, მანიპულაციებს, ყველა საჭირო პროცედურას და ამბულატორიულ ქირურგიულ ოპერაციებს. ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის ხარჯების ანაზღაურებას ლიმიტის ფარგლებში. სადაზღვევო კომპანიის მიერ, ამ პუნქტით დაზღვეულისათვის ანაზღაურებას ექვემდებარება ის მომსახურებები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამების მიერ.

5. სასწრაფო სამედიცინო დახმარება

5.1 სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ხარჯების სრულად ანაზღაურება;

5.2 სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება; (მათ შორის მოზრდილთა და პედიატრიული ასაკის პაციენტათვის);

5.3 შემთხვევის ადგილზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;

5.4 საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებაში;

5.5 რენიმიზილის მომსახურება საქართველოს ნებისმიერ რეგიონში;

5.6 სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ფართო ქსელი (ვრცელი ჩამონათვალი), პროვაიდერთა შორის სსდ თავისუფალი არჩევანი თბილისსა და რეგიონებში.

5.7 პროვაიდერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია თბილისსა და რეგიონებში. (გადაუდებელი შემთხვევის გამო გაწეული სამედიცინო მომსახურებების დროს სავალდებულო არ არის დაზღვეული კლინიკამდე ტრანსპორტირებული იყოს სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ. გადაუდებელ შემთხვევებში დაზღვეულის ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებაში შესაძლებელია მოხდეს თვითღონებით, ან სახელმწიფო, ან კერძო დაქვემდებარების სასწრაფო დახმარების სამსახურის მიერ)

6. ჰოსპიტალიზაცია

6.1 ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებულ იმ სამკურნალო/დიაგნოსტიკური ღონისძიებების ერთობლიობას (იგულისხმება ყველა სახის თერაპიული და ქირურგიული მანიპულაციები და ოპერაციები, ყველა სახის ანესთეზიასთან ერთად), მედიკამენტები (პოსტ-ოპერაციული მედიკამენტების გარდა), პარენტერალური და ენტერალური კვების, სტანდარტული, რენიმიაციული და/ან ინტენსიური პალატა) სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, რომელიც დაზღვეულს გაეწევა ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში და სადაც დაზღვეულის დაყოვნება აღემატება 1 საწოლ-დღეს.

7. გეგმიური სტაციონარული (ჰოსპიტალური) მომსახურება

7.1 სამედიცინო ჩვენებით დაზღვეულის ჰოსპიტალური მომსახურების კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება (იგულისხმება ყველა სახის თერაპიული და ქირურგიული მანიპულაციები და ოპერაციები, ყველა სახის ანესთეზიასთან ერთად) ;

7.2. ჰოსპიტალური მომსახურების ორგანიზება ;

7.3. ჰოსპიტალიზაციის პერიოდში ყველა საჭირო ინსტრუმენტული და ყველა საჭირო ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯების ანაზღაურება ;

- 7.4. ჰოსპიტალიზაციის პერიოდში მედიკამენტური მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება ;
- 7.5 ჰოსპიტალში 1 საწოლ-დღეზე, მეტი ხნით დაყოვნების ღირებულების ანაზღაურება. ასევე კვების ღირებულების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად.
- 7.6 ონკოლოგიური დაავადებები, შესაბამისი სამედიცინო ჩვენებისას საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10-ე გადახედვით (ICD-10) განსაზღვრული, როგორც კეთილთვისებიანი, ასევე ავთვისებიანი ონკოლოგიური პრობლემატიკის გადაუდებელ და გეგმიური ქირურგიული მკურნალობის (მედიკამენტები, დიაგნოსტიკური ღონისძიებები, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა, პარენტერალური და ენტერალური კვების, სტანდარტული, რეანიმაციული და/ან ინტენსიური პალატა), მანიპულაციების, დიაგნოსტიკის, ქიმიო, რადიო და სხივური მკურნალობის, აგრეთვე, ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევებისა და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებას. აღნიშნული ლიმიტიდან, ამ მომსახურებისათვის სადაზღვევო ბარათით დადგენილი თანაგადახდის გათვალისწინებით დაიფარება გართულებების სამედიცინო მომსახურების ხარჯებიც (იგულისხმება, როგორც დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერამდე, ასევე, გაწერის შემდგომ განვითარებული გართულებები მიუხედავად იმისა, ამ გართულებებით გამოწვეული მდგომარეობები იქნება გადაუდებელ ჰოსპიტალურ, თუ ამბულატორიულ პირობებში გაწეული). დაზღვეულისათვის სადაზღვევო კომპანია ფარავს იმ ნაწილს, რომელიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამების მიერ.
- 7.7 გულ-სისხლძარღვთა და სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, კარდიოქირურგიული მკურნალობის ხარჯები, მათ შორის კორონაროგრაფია, სტენტირება (მათ შორის სტენტის ფასის ანაზღაურებით) შუნტირება და ყველა სხვა კარდიოქირურგიული ოპერაცია, დაზღვეულისათვის სადაზღვევო კომპანია ფარავს იმ ნაწილს, რომელიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამების მიერ. აღნიშნული ლიმიტიდან, ამ მომსახურებისათვის სადაზღვევო ბარათით დადგენილი თანაგადახდის გათვალისწინებით დაიფარება შემდგომი გართულებების სამედიცინო მომსახურების ხარჯებიც (იგულისხმება, როგორც დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერამდე, ასევე, გაწერის შემდგომ განვითარებული გართულებები მიუხედავად იმისა, ამ გართულებებით გამოწვეული მდგომარეობები იქნება გადაუდებელ ჰოსპიტალურ, თუ ამბულატორიულ პირობებში გაწეული). ამასთან კორონაროგრაფია, რომელსაც არ მოყვება სტენტირება უნდა ანაზღაურდეს ამბულატორიისათვის გათვალისწინებული ლიმიტიდან, შესაბამისი თანაგადახდის გათვალისწინებით.
- 7.8 შაქრიანი და უშაქრო დიაბეტთან, თირკმლების ქრონიკული უკმარისობასთან, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებთან, სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს დაზღვეულისათვის სადაზღვევო კომპანია ფარავს იმ ნაწილს, რომელიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამების მიერ.
- 7.9 ნებისმიერი სახის პროთეზირებასთან დაკავშირებული ხარჯები (ეგზოპროტეზების გარდა) სადაზღვევო პოლისის ლიმიტის ფარგლებში (მათ შორის პროთეზის თანხის ანაზღაურება);
- 7.10 სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი ჰოსპიტალური დაწესებულების ფართო ქსელი, კლინიკური პრაქტიკის სამედიცინო დაწესებულებათა ვრცელი ჩამონათვალი, პროვაიდერთა შორის სამედიცინო მომსახურების გაწევის თავისუფალი არჩევანი თბილისსა და რეგიონებში.
- 7.11 სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი ჰოსპიტალური დაწესებულების ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია თბილისსა და რეგიონებში.

8. გადაუდებელი სტაციონარული (ჰოსპიტალური) მომსახურება

8.1. ითვალისწინებს სიცოცხლისთვის საშიში მწვავე, გადაუდებელ შემთხვევაში, ასევე უბედური შემთხვევის გამო, ჰოსპიტალში 24-საათზე მეტი ხნით დაყოვნებისას მედიკამენტების, დიაგნოსტიკური მანიპულაციების, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობის, მათ შორის ტრავმატოლოგიური, კარდიოქირურგიული : სტენტირება, შუნტირება, ონკოქირურგიული მომსახურება, და სხვა ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამების მიერ. ასევე არჩეული პალატის, კვების ღირებულების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად.

9. მედიკამენტები ექიმის დანიშნულებით

9.1 ოჯახის ექიმისა და სხვადასხვა პროფილის სპეციალისტის მიერ სამედიცინო ჩვენებით დანიშნული ყველა მედიკამენტის ხარჯების ანაზღაურება სადაზღვევო პაკეტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მათ შორის ქრონიკული დაავადებების (გულსისხლძარღვთა, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების, ენდოკრინული, შარდსასქესო სისტემის პათოლოგიების და სხვა);

9.2 ქრონიკული დაავადებების მედიკამენტური მკურნალობის ხარჯები (იგულისხმება როგორც დაზღვევამდე არსებული ქრონიკული დაავადებები, ასევე დაზღვევის შემდეგ გამოვლენილი ქრონიკული დაავადებები)

9.3 ოჯახის ექიმისა და სხვადასხვა პროფილის სპეციალისტის მიერ მედიკამენტების დანიშვნის დროს მზღვეველმა უნდა ისარგებლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული პრეპარატების (მედიკამენტები) სრული სიით.

9.4. მომსახურების მიღების სქემა:

9.4.1. პირადი ექიმის მიმართვის/ელექტრონული საფუძველზე, დაზღვეული პროვაიდერ სააფთიაქო ქსელში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, იხდის სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ მხოლოდ მის წილ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9.4.2. პირადი ექიმის მიმართვის გარეშე მედიკამენტების შეძენისას დაზღვეული იხდის მედიკამენტების ღირებულებას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს მზღვეველს, რომელიც დოკუმენტაციის მიღების შემდეგ ანაზღაურებს მედიკამენტების ხარჯებს. ანაზღაურების მისაღებად საჭიროა სერვისის მიღებიდან არაუმეტეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიაში წარდგენილი იყოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ბეჭდით

დადასტურებული ამონაწერი შეძენილი მედიკამენტების შესახებ; ბეჭდით დადასტურებული სალაროს აპარატის ჩეკის დედანი ან პოსტერმინალის ამონაბეჭდი; ლიცენზირებული ექიმის მიერ დანიშნული და ჩატარებული მომსახურების სამედიცინო დოკუმენტაცია (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით შევსებული, მომსახურე დაწესებულების ბეჭდითა და ექიმის ხელმოწერით დადასტურებული ფორმა N 100 ან უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული (ექიმის ტიტულოვანი ფურცელი) დიაგნოზი და დანიშნულება, საჭიროების შემთხვევაში ჩატარებული კვლევის დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული ბარათი და სხვა);

9.5. ამბულატორიული მკურნალობის დროს დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება მედიკამენტების ლიმიტიდან.

9.6. სტაციონარული მკურნალობის დროს დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება სტაციონარული მომსახურების ლიმიტიდან.

9.7. დაზღვეულს უნდა ქონდეს არანაკლებ 4 (ოთხი) საფირმო სახელწოდების მქონე სააფთიაქო ქსელთან მიმართებით და რეცეპტით მედიკამენტის შეძენის შესაძლებლობა. თითოეულ საფირმო სახელწოდების მქონე სააფთიაქო ქსელს უნდა ქონდეს არანაკლებ 50 აფთიაქი საქართველოს მასშტაბით, საიდანაც არანაკლებ 30 აფთიაქი უნდა იყოს თბილისში, ხოლო არანაკლებ 20 რეგიონებში.

10. ორსულობა ითვალისწინებს

10.1 ექიმის კონსულტაცია, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ხარჯების ანაზღაურება, ამბულატორიული მანიპულაციები, მედიკამენტები, პატონაჟისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურება, (იგულისხმება ორსულობის მეთვალყურეობის სახელმწიფო პროგრამის მიღმა დარჩენილი მომსახურება, ანუ სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში, ორსულის რიგგარეშე ვიზიტებისა და იმ კონსულტაცია-გამოკვლევების ხარჯების დაფარვა, რასაც არ ითვალისწინებს სახელმწიფო პროგრამა). დაზღვევამდე არსებული ორსულობის სამედიცინო მეთვალყურეობა და სადაზღვევო ანაზღაურება.

10.2. ორსულობის გართულებასთან დაკავშირებული გეგმიური და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებების (ექიმის კონსულტაცია, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, ორსულობის ტერმინაცია სამედიცინო ჩვენებით, ორსულობის გართულებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მანიპულაციები, მედიკამენტები, როგორც ამბულატორიული, ისე ჰოსპიტალური მომსახურებისას) დაფინანსებას. აღნიშნული დაფარვა ანაზღაურდება სრულად სადაზღვევო პოლისში მითითებული ლიმიტის/თანაგადახდის ფარგლებში

10.3. ორსულთა ის პათოლოგიები, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას, მაგალითად საშვილოსნოს გარე ორსულობა და სხვა, როგორც სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა, განიხილება გეგმიური და გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების ნაწილში.

11. მშობიარობა ითვალისწინებს

11.1 ფიზიოლოგიური მშობიარობისა და საკეისრო კვეთის ხარჯების ანაზღაურება, კვების ჩათვლით;

11.2 სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი სამედიცინო-გინეკოლოგიური დაწესებულებების ფართო არჩევანი (ვრცელი ჩამონათვალი) და მუხრან-გინეკოლოგის თავისუფალი არჩევანი, ლუქს პალატის ანაზღაურება პოლისის პირობების შესაბამისად.

11.3. მშობიარობასთან და/ან მის შემდგომ გართულებებთან დაკავშირებული (როგორც დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერამდე, ასევე, გაწერის შემდგომ განვითარებული გართულებები) მდგომარეობების დაფინანსება, მიუხედავად იმისა, ამ გართულებებით გამოწვეული მდგომარეობებისთვის საჭირო სამედიცინო დახმარება იქნება გადაუდებელ ჰოსპიტალურ, თუ ამბულატორიულ პირობებში გაწეული. გარდა მშობიარობის შემდგომი სეფსისის, მშობიარობის შემდგომი ატონიური სისხლდენისა და საშვილოსნოს გარე ორსულობისა, რომელიც დაფინანსდება ჰოსპიტალური მომსახურებისათვის გათვალისწინებული შესაბამისი ლიმიტიდან.

11.4. პროვაიდერი სამედიცინო-გინეკოლოგიური დაწესებულებების ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია თბილისსა და რეგიონებში.

12. გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება ითვალისწინებს:

12.1 კბილის მწვავე ტკივილისას პირველადი სტომატოლოგიური დახმარების (კბილის მწვავე ტკივილისას გაყურება (ანესთეზია), კბილის გადაუდებელი ამოღება (გადაუდებელი ექსტრაქცია) ღირებულების ანაზღაურებას, დიაგნოსტიკური ღონისძიებების (დენტოგრაფია, ვიზიო) პოლისის პირობების შესაბამისად ;

12.2 როგორც პროვაიდერ, ასევე არაპროვაიდერ სტომატოლოგიურ კლინიკაში სამედიცინო მომსახურების მიღების შემთხვევაში მზღვეველი სრულად ანაზღაურებს მომსახურების ხარჯებს პოლისის პირობების შესაბამისად.

13. გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება (ქირურგიული და თერაპიული)

13.1 გეგმიური თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურება ითვალისწინებს: სტომატოლოგის კონსულტაციის, დიაგნოსტიკური ღონისძიებების (მათ შორის დიაგნოსტიკური რენტგენოგრაფია), კბილის დაბუნის, ქვებისა და ნადების მოშორების (დახურული კიურეტაჟი ულტრასტომით), მუდმივი, სარძევე და რეტენირებული კბილის ამოღების (ექსტრაქცია), ქუდავის მკვეთის (პერიკორონარიტი), ოდენტოგენური კისტის (მწვერვალის რეზექცია), ცისტექტომიის, გინგივიექტომიის, ალვეოლიტის და აბსცესის მკურნალობის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების მკურნალობის, მათ შორის ვექტორის მეთოდით, და ზემოთ ჩამოთვლილ პროცედურებთან დაკავშირებული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად. მარტივი და გართულებული კარიესის მკურნალობა (მათ შორის ერთი და იგივე კბილზე ანთებითი პროცესის გამწვავებისას), პარადონტოზისა, პერიოდონტიტი და პულპიტი.

13.2 სადაზღვევო კომპანიის პროვადერი სტომატოლოგიური დაწესებულებების ფართო არჩევანი (ვრცელი ჩამონათვალი), ჩამონათვალი მითითებული დაწესებულებების ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია თბილისსა და რეგიონებში.

14. ორთოდონტია/ორთოპედია

14.1 ორთოპედიული სტომატოლოგიური მომსახურება ითვალისწინებს: ორთოპედის კონსულტაციის, დიაგნოსტიკური ღონისძიებების, მოსახნელი და/ან ნაწილობრივი პროთეზისა და მიკროპროთეზის, მეტალოკერამიკის, მეტალოპლასტმასის, პლასტმასის, ფოლადისა და მობულატებული გვირგვინის, ჩანართის, უმეტალო კერამიკისა (გვირგვინებისა და ვინირების დამზადება) და ბიგელისებური პროთეზის ღირებულებაზე ფასდაკლება, ასევე თერაპიული და სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოპედიული სამუშაოების მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად.

14.2 ორთოდონტული სტომატოლოგიური მომსახურება ითვალისწინებს: ორთოდონტის კონსულტაციის, დიაგნოსტიკური ღონისძიებების (ორთოპანტომოგრამა, ყბების სადიაგნოსტიკო მოდელების დამზადება, თავის ქალას ცეფალომეტრული ანალიზი), მოსახნელი და ორთოდონტული ფირფიტოვანი აპარატისა და მოუხსნელი ორთოდონტული აპარატის (ბრეის-სისტემა) ღირებულებაზე ფასდაკლება, ასევე, ტერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოდონტიული სამუშაოების მოსამზადებლად, დიაგნოსტიკური ღონისძიებები, პოლისის პირობების შესაბამისად.

15.სამოგზაურო დაზღვევა

15.1. სამოგზაურო დაზღვევა (ვრცელდება თანამშრომლებზე), მომსახურება გულისხმობს სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის პერიოდში საზღვარგარეთ მოგზაურობებისას გადაუდებელი და ურგენტული შემთხვევების, როგორც ამბულატორიული, ასევე ჰოსპიტალური მომსახურების, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, საზღვარგარეთ გამსვლელის დაზღვევის სტანდარტული პოლისის წესების მიხედვით.

15.2 დამზღვევის მიერ მოწოდებული სიის მიხედვით, არა უმეტეს 40 დაზღვეულზე, მზღვეველი უზრუნველყოფს სამოგზაურო დაზღვევის 1 წლიან მულტი პოლისის გაცემას, 90 დღის გამოყენებით.

16.სიცოცხლის დაზღვევა

16.1 ითვალისწინებს დაზღვეულის უბედური შემთხვევის ან ბუნებრივი მიზეზით გარდაცვალების გამო მოსარგებლისთვის ფიქსირებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად.

16.2 სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის პირობები გარდაცვალების შემთხვევაში :

დაზღვეულის მემკვიდრის (მეუღლის ან შვილების, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში მეორე რიგის მემკვიდრის) მიერ დაზღვეულის გარდაცვალებიდან შეტყობინება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო სამკვიდრო მოწმობის შემთხვევაში სამკვიდროს მოწმობის წარდგენა განხორციელდება მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში წარსადგენი დოკუმენტები :

- 1) დაზღვეულის გარდაცვალების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა (გარდაცვალების მოწმობა) რომელშიც მითითებული იქნება დაზღვეულის ასაკი, და გარდაცვალების თარიღი;
- 2) სამედიცინო ცნობა გარდაცვალების შესახებ –გარდაცვალების გამოწვევი მიზეზები და დაავადების განვითარების სტადიები;
- 3)გარდაცვალების ეპიკრიზი (ამონაწერი ავადმყოფის ისტორიიდან) ასლი, საჭიროების შემთხვევაში ფორმა 100/ა; 4) დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი აქტი.
- 5) დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში გვამის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.

16.3 მზღვეველის მიერ ანაზღაურება გაიცემა აღნიშნული დოკუმენტების მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.

17. ანაზღაურებას არ ექვემდებარება (გამონაკლისები)

17.1 სხეულის განზრახ თვითდაშავებით, თვითმკვლელობის მცდელობით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან (თუ ეს არ ეხება სხვისი სიცოცხლის გადარჩენას) დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; კრიმინალურ (კანონსაწინააღმდეგო) აქტში მონაწილეობით ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული ხარჯები; თავისუფლების აღკვეთის პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

17.2 ალტერნატიული მედიცინის (აკუპუნქტურა, ჰომეოპათია, მანუალური თერაპია, სუჯოკუთერაპია, პარასამკურნალო საშუალებები, სისტემური ენზიმოთერაპია).

სანატორიულ-საკურორტო მომსახურების, ლაზეროთერაპიის, საზღვარგარეთ დიაგნოსტიკის და თვითმკურნალობის ხარჯებს;

17.3 შაქრის შემცველების, ფსიქოტროპული საშუალებების, პირადი ჰიგიენის ან/და მოვლის საშუალებების(კბილის პასტა, შამპუნი, პირის ღრუს საველები, თმის სამკურნალო და მსგავსი საშუალებები) შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები.

17.4 ეგზოპროტეზების და დამხმარე საშუალებების (სათვალე, კონტაქტური ლინზები, სმენის აპარატი, წნევის აპარატი, თერმომეტრი) შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები.

- 17.5 პროფესიული ან სამოყვარულო/სარისკო სპორტის სახეობებში (ზამთრის, წყლის, საჰაერო, სიჩქარეზე შეჯიბრი, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, ნადირობა) მონაწილეობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის გაუარესების მკურნალობის ხარჯები;
- 17.6. ნარკომანიის, ტოქსიკომანიის, ალკოჰოლიზმის, ასევე მათი გართულებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარჯები; ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედებით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; ასევე ალკოჰოლით, ნარკოტიკებითა და ტოქსიკური ნივთიერებებით თრომბოსის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; 17.7. პლასტიკურ (კოსმეტიკური და რეკონსტრუქციული) ქირურგიასთან, დაკავშირებული ხარჯები, გარდა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევით გამოწვეული საჭიროებისა, როცა მკურნალობის სხვა მეთოდები არაეფექტურია და ამ პუნქტში ჩამოთვლილი მკურნალობის რომელიმე მეთოდის გამოუყენებლობა გარდაუვალ სიბრძნვეს, მხედველობის მკვეთრ გაუარესებას ან/და სუნთქვის გაძნელებას გამოიწვევს. წონის კორექციასთან, ორგანოთა ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული ხარჯები (შენიშვნა: ნებისმიერი ქირურგიული ოპერაცია, რომელიც ჩატარდება ლაპარასკოპიული მეთოდით არ ითვლება პლასტიკურ ოპერაციად);
- 17.8. აივ-ინფექციასთან, შიდსთან, დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- 17.9. ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მკურნალობის ხარჯებს; ფსიქოთერაპევტის და ლოგოპედის ხარჯები.
- 17.10. მოწვეული/ავიანილი ექიმის, ლუქს პალატის (ფინანსდება მხოლოდ მშობიარობისას), და სამედიცინო ჩვენების გარეშე გაწეული მომსახურების ხარჯები;
- 17.11. აბორტის ხარჯები (გარდა სამედიცინო ჩვენებისა). პროფილაქტიკური ვაქცინაციის და იმუნიზაციის ხარჯები (გარდა ანტიტეტანური, ანტიბოტულინური, ანტირაბიული ვაქცინაციისა - იმუნიზაციისა); უნაყოფობის, იმპოტენციის გამოკვლევის და სამედიცინო მომსახურების ხარჯები; კონტრაცეფციის, ოჯახის დაგეგმარების, ხელოვნური განაყოფიერების, სტერილიზაციის, სტერილიზაციის შემდგომი რეპროდუქციული უნარის რეაბილიტაციის ხარჯები; 17.12. მკურნალობის ხარჯები, რომელიც საჭირო გახდა დაზღვეულის ომში, აჯანყებაში, სამოქალაქო არეულობაში ან კრიმინალურ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- 17.13. უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები (გარდა ვულვოვაგინალური კანდიდიასის, ბაქტერიული ვაგინოზისა და ურეთრისა) დაავადებები (გარდა პირველადი სასქინინგო დიაგნოსტიკისა, რომელიც ითვალისწინებს, ექიმის კონსულტაციას და ნაცხის ბაქტერიოსკოპიას) რეაბილიტაციური, გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, პალეოთერაპიული მოვლა.
- 17.14. ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატები, ჰომეოპათიური საშუალებები, პარასამკურნალო საშუალებები, სისტემური ენზიმოთერაპია;
- 17.15. ყველა სხვა სადაზღვევო შემთხვევა რაც გამონაკლისებში არ მოიაზრება, მათ შორის დაზღვევამდე არსებული დაავადებების მკურნალობის, დაზღვევის პერიოდში მიმდინარე ორსულობის მონიტორინგის და მშობიარობის ხარჯები, ქრონიკული დაავადებების მკურნალობა ექვემდებარება წინამდებარე დაზღვევით დაფარვას სადაზღვევო პაკეტის პირობების შესაბამისად.

18. სამედიცინო მომსახურების მიღების წესი

- 18.1 პაკეტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება დაზღვეულს შეუძლია მიიღოს თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში.
- 18.2 დაზღვეულს უნდა შეეძლოს ქ. თბილისში არანაკლებ 45 პროვაიდერ კლინიკაში და საქართველოს რაიონებში არანაკლებ 25 პროვაიდერ კლინიკაში მომსახურების მიღება.
- 18.3 პროვაიდერ კლინიკაში პირადი ექიმების ჩართულობით მომსახურების მისაღებად: დაზღვეული მიმართავს პირად ექიმს, რომელიც ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს დაზღვეულს საჭირო კვლევებითა და მიმართვ(ებ)ით. დაზღვეული იხდის სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებულ მხოლოდ მის წილ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მათ შორის ელექტრონული მიმართვის, ან საგარანტო წერილის წარდგენის შემთხვევაში. თუ დაზღვეულს ერთი ვიზიტის დროს, დამატებით დასჭირდება კვლევა ან დამატებითი სპეციალისტის კონსულტაცია, დაზღვეული ვალდებულია მაშინვე შეატყობინოს სადაზღვევო კომპანიას ცხელ ხაზზე ან ელექტრონულად, რის შემდეგაც, მზღვეველი დაუყოვნებლივ აგვარებს ყველა ფინანსურ საკითხს პროვაიდერთან. დაზღვეული პირი ადგილზე იხდის ყველა დამატებითი კვლევისა და კონსულტაციის თანხის მხოლოდ არაანაზღაურებად მინიმუმს, გადასახდელი %-ული წილის შესაბამისად, დანარჩენი თანხის ანგარიშსწორება მოხდება პირდაპირ პროვაიდერთან მზღვეველის მიერ.
- 18.4. დაზღვეულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს დისტანციურად პირადი ექიმის მომსახურებით, მომსახურების მიღებამდე 1 სამუშაო დღით ადრე, დაზღვეული აგზავნის მოთხოვნას ელექტრონულად ელ.ფოსტაზე ან წარადგენს სადაზღვევო კომპანიაში. მზღვეველი უზრუნველყოფს კონკრეტულ პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებისათვის მიმართვის მომზადებას ან/და ელექტრონული მიმართვის გადაგზავნას.
- 18.5. თავისუფალი არჩევანი - პირადი ექიმის და/ან ელექტრონული მიმართვის გარეშე, როგორც პროვაიდერ ასევე არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს მზღვეველს, რომელიც დოკუმენტაციის მიღების შემდეგ ანაზღაურებს მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს. პროვაიდერ კლინიკაში მიმართვის გარეშე მიღებული მომსახურება ანაზღაურდება თავისუფალი არჩევანისათვის განკუთვნილი თანაგადახდის პროცენტით. ანაზღაურების მისაღებად საჭიროა სერვისის მიღებიდან არაუმეტეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში სადაზღვევო

კომპანიაში წარდგენილი იყოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ლიცენზირებული ექიმის მიერ დანიშნული და ჩატარებული მომსახურების სამედიცინო დოკუმენტაცია (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით შევსებული, მომსახურე დაწესებულების ბეჭდითა და ექიმის ხელმოწერით დადასტურებული ფორმა N 100 ან უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული (ექიმის ტიტულოვანი ფურცელი) დიაგნოზი და დანიშნულება, ჩატარებული კვლევის დასკვნა და სხვა); თანხის მიმღები დაწესებულების სალაროს შემოსავლის ორდერისა და გადახდის დამადასტურებელი სალაროს აპარატის ჩეკის დედანი ან პოსტერმინალის ამონაბეჭდი;

18.6 გეგმიური სტაციონარული (ჰოსპიტალური), ან გეგმიური ამბულატორიული ქირურგიული, მომსახურების საჭიროების შემთხვევაში პროვადერ კლინიკაში დაზღვეულმა უნდა წარმოადგინოს სრულყოფილი დოკუმენტაცია მზღვეველთან მკურნალობის დაწყებამდე არანაკლებ 5(ხუთი) სამუშაო დღით ადრე. მზღვეველი გასცემს საგარანტიო წერილს, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება ღირებულების, სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული წილის გადახდის პროცედურისაგან. საგარანტიო წერილის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია: მომსახურების დეტალური განფასება/კალკულაცია და ფორმა # IV-100ა.

18.7 გეგმიური სტაციონარული (ჰოსპიტალური), ან გეგმიური ამბულატორიული ქირურგიული, მომსახურების საჭიროების შემთხვევაში არაპროვადერ კლინიკაში მომსახურების მისაღებად მზღვეველი ვალდებულია დატოვოს შეტყობინება კომპანიის ცხელ ხაზზე (+995 32) 2 505 111 . ჰოსპიტალიზაციის თარიღამდე არანაკლებ 5(ხუთი) სამუშაო დღით ადრე და შეათანხმოს მზღვეველთან ჰოსპიტალიზაციის საკითხი. კომპანიის არაპროვადერ კლინიკაში ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობა, მომსახურე დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული ფორმა # IV-100ა (მიღებული მომსახურების დეტალური აღწერით), მომსახურების დეტალური განფასება/კალკულაცია, სალაროს ქვითარი ან/და შემოსავლის ორდერი, დაზღვეულის საბანკო რეკვიზიტები.

18.8. თუ სავარაუდო გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 500 (ხუთასი) ლარს ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან არაუმეტეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში უნდა მოხდეს ანაზღაურების გაცემა უნაღდი ანგარიშსწორების გზით. 500 (ხუთასი) ლარზე მეტ თანხებზე ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს უნაღდი ანგარიშსწორების გზით, ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში.

18.9. მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს დაზღვეულის მიერ, ოჯახის ექიმის მიმართებით, მათ შორის ელექტრონული მიმართებით ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში მომსახურების მიღებისას გადახდილი საფასურის დამადასტურებელი სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტების სისწორის დადგენა წარდგენისთანავე. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს დაზღვეულს მამინვე და განუსაზღვროს ვადა მის აღმოსაფხვრელად არანაკლებ 5(ხუთი) სამუშაო დღისა ხარვეზის აღმოჩენიდან (დოკუმენტაციის წარდგენიდან).

18.10 მზღვეველის მიერ დაავადებების გამონაკლისებში მიკუთვნების საკითხი უნდა დასაბუთდეს დაზღვეულის მიერ სათანადო დოკუმენტაციის (სადაზღვევო ანაზღაურების წესით გათვალისწინებული დანართი N1-ს შესაბამისად, და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციით), წარდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელდება დასაზღვევო პროგრამით განსაზღვრული ლიმიტისა და თანაგადახდის ფარგლებში.

18.11 შემსყიდველი უზრუნველყოფს დაზღვეულთა ხელფასიდან შესაბამისი დამატებითი ან/და გაუმჯობესებული სადაზღვევო მომსახურების ღირებულების დაკავებას და მზღვეველისათვის გადარიცხვას. დაზღვეულის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში სადაზღვევო მომსახურება შეწყდება, სამსახურიდან წასვლის შესახებ, მზღვეველის მიერ შეტყობინების მიღებისთანავე, არაუგვიანეს განთავისუფლების თარიღის შემდგომი პირველი ცვლილების თარიღისა. დაზღვეულის ან/და მისი ოჯახის წევრ(ებ)ის სურვილისამებრ, მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული, პირობებით (მზღვეველსა და დაზღვეულს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე).

18.12 მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში დაზღვეულს უარი უნდა განემარტოს წერილობითი სახით.

18.13 .ელექტრონული მიმართებით/საგარანტიო წერილით სარგებლობა - ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების წესი ვრცელდება მზღვეველის პროვადერ კლინიკებში გეგმიურ ამბულატორიულ და გეგმიურ ჰოსპიტალურ მომსახურებაზე.

18.14 ამბულატორიული მკურნალობის დროს დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება მედიკამენტების ლიმიტიდან.

18.15 სტაციონარული მკურნალობის დროს დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება სტაციონარული მომსახურების ლიმიტიდან.

19. სავალდებულო მოთხოვნები:

19.1 სადაზღვევო პრემიის ღირებულება ერთი თანამშრომლისათვის თვეში, ეხება თსუ-ს თანამშრომელს ასაკის შეუზღუდავად.

19.2 სადაზღვევო მომსახურება ეხება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) თანამშრომლებს:

ა) (თსუ) საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალი (დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გარდა), ემერიტუსები, თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრები და ზოგიერთი შტატგარეშე თანამშრომელი - სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს თსუ;

ბ) (თსუ) შტატგარეშე პერსონალი (ასაკის/რაოდენობის შეუზღუდავად) - სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული;

გ) (თსუ) დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები - სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული;

დ) (თსუ) საშტატო განრიგით გათვალისწინებულ და შტატგარეშე (დაზღვეული) პერსონალის ოჯახის წევრები - სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული;

19.3 ოჯახის წევრები გულისხმობს – მეუღლეს (70 წლამდე) და შვილებს (18 წლამდე), მშობლებს - (65 წლამდე), და/მმას - (65 წლამდე).

- 19.4 ოთხი ან მეტწევრიანი ოჯახის შემთხვევაში, მეუღლის და შვილების (შვილების 18 წლამდე ასაკის) დაზღვევა შესაძლებელია განხორციელდეს „საოჯახო პაკეტის“ ფარგლებში, კოეფიციენტით 3.2 ;
- 19.5 თსუ-ს დაზღვეული თანამშრომელი უფლებამოსილია შეარჩიოს ნებისმიერი სადაზღვევო პაკეტი. დაზღვეულს უნდა შეეძლოს მისი ოჯახის წევრების განსხვავებული პაკეტით დაზღვევა (არ ეხება „საოჯახო პაკეტს“), რაოდენობის შეუზღუდავად, სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული.
- 19.6 სადაზღვევო კომპანიას უნდა ქონდეს პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების ფართო ქსელი მათ შორის სპეციალიზირებული (კარდიოლოგია, ონკოლოგია, ნევროლოგია, ნეიროქირურგია, გინეკოლოგია, ოტო-რინო-ლარინგოლოგია, უროლოგია, ტრავმატოლოგია) და მრავალპროფილიანი კლინიკები, როგორც თბილისში ასევე საქართველოს ყველა დიდ ქალაქში. (სულ საქართველოს მასშტაბით 70, მათ შორის ქ. თბილისში არანაკლებ 45, ხოლო სტომატოლოგიური კლინიკა არანაკლებ 20, მათ შორის თბილისში არანაკლებ 12).
- 19.7 დაზღვეულს უნდა შეეძლოს თბილისში არანაკლებ 45 პროვაიდერ კლინიკაში და საქართველოს რაიონებში არანაკლებ 25 პროვაიდერ კლინიკაში მომსახურების მიღება. ქ. თბილისში პროვაიდერი კლინიკა უნდა იყოს აღჭურვილი თანამედროვე, უახლესი სტანდარტების მქონე აპარატურით, მაღალი ტექნოლოგიით (კომპიუტერული ტომოგრაფია- არანაკლებ 12 პროვაიდერ კლინიკაში, მაგნიტურ რეზონანსული კვლევა- არანაკლებ 5 პროვაიდერ კლინიკაში, ციფრული რენტგენი, თანამედროვე ლაზორატორია, ექოსკოპია და სხვა) და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.
- 19.8 დაზღვეულს უნდა ქონდეს არანაკლებ 4 (ოთხი) საფირმო სახელწოდების მქონე სააფთიაქო ქსელთან მიმართებით და რეცეპტით მედიკამენტის შეძენის შესაძლებლობა. თითოეულ საფირმო სახელწოდების მქონე სააფთიაქო ქსელს უნდა ქონდეს არანაკლებ 50 აფთიაქი საქართველოს მასშტაბით, საიდანაც არანაკლებ 30 აფთიაქი უნდა იყოს თბილისში, ხოლო არანაკლებ 20 რეგიონებში.
- 19.9 მომსახურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, სადაზღვევო კომპანიას უნდა ჰქონდეს ქ. თბილისში არანაკლებ 3 (სამი) , ქ. რუსთავეში არანაკლებ 1(ერთი) და ქ. ქუთაისში არანაკლებ 1(ერთი) თანამედროვე, უახლესი სტანდარტების მქონე აპარატურით და მაღალი ტექნოლოგიით აღჭურვილი კლინიკა (ციფრული რენტგენი, თანამედროვე ლაზორატორია, ექოსკოპია და სხვა, სასურველია ჰქონდეს კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული კვლევა), სადაც დაზღვეულს მოემსახურება არანაკლებ 13 ოჯახის ექიმი. მზღვეველმა უნდა შექმნას ოჯახის ექიმთა (მათ შორის პედიატრთა) საკმარისი რაოდენობის ჯგუფი, რომელიც მოემსახურება თსუ-ს დაზღვეულებს.
- 19.10 ყველა სხვა სადაზღვევო შემთხვევა რაც გამონაკლისებში არ მოიაზრება, მათ შორის დაზღვევამდე არსებული დაავადებების მკურნალობის, დაზღვევის პერიოდში მიმდინარე ორსულობის მონიტორინგის და მშობიარობის ხარჯები, ქრონიკული დაავადებების მკურნალობა ექვემდებარება წინამდებარე დაზღვევით დაფარვას სადაზღვევო პაკეტის პირობების შესაბამისად.
- 19.11 საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) გაცემის შესაძლებლობა ოჯახის ექიმის მიერ დამატებითი გადასახადის გარეშე.
- 19.12 საჭიროების შემთხვევაში პირადი ექიმის მიერ დაზღვეულზე ფორმა # IV-100ა-ს გაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების სრული დაცვით, გადასახადის გარეშე.
- 19.13 სადაზღვევო კომპანიის მიერ შემოთავაზებული უნდა იყოს არანაკლებ ორი პროვაიდერი დაწესებულება, რომელსაც უნდა გააჩნდეს ფიზიოთერაპიის, ჰიდროთერაპიის, და მასაჟის, -მომსახურების გაწევის შესაძლებლობა არანაკლებ 30%-იან ფასდაკლებით
- 19.14 იმ შემთხვევაში, თუ დაავადების ასანაზღაურებელი თანხის თანაგადამხდელი არის საყოველთაო დაზღვევა, სადაზღვევო კომპანია თვითონ აგვარებს ყველა იურიდიულ და ფინანსურ საკითხს საყოველთაო დაზღვევასთან და იხდის საყოველთაო დაზღვევის მიერ არანაზღაურებად წილს.

დანართი #3-1 (პოლისი მედი)

1. პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურებების განმარტებები:
 - 1.1. 24 საათიანი სატელეფონო კონსულტაცია - ითვალისწინებს მიმდინარე სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებულ სადღეღამისო სატელეფონო კონსულტაციას, პრობლემატური საკითხების მოგვარებას, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება კოორდინაციას.

- 1.2. სასწრაფო სამედიცინო დახმარება** - ითვალისწინებს სიცოცხლისთვის საშიში, გადაუდებელი მდგომარეობის დროს სამედიცინო ჩვენებით გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახების, ადგილზე სამედიცინო მომსახურების, საჭიროების შემთხვევაში დაზღვეულის ვიტალური ფუნქციების შენარჩუნების მიზნით შემთხვევის ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ღირებულების ანაზღაურებას, ბარათის შესაბამისად.
- 1.3. პირადი ექიმის მომსახურება** - ითვალისწინებს პოლისით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებაში მზღვეველის მიერ მითითებული ექიმის (ზოგადი პროფილის ექიმი/თერაპევტი) კონსულტაციას, დაზღვეულის ჯანმრთელობაზე მუდმივ მეთვალყურეობას და ასაკობრივ სასკრინინგო კვლევების დაგეგმვას, სამედიცინო რეკომენდაციებით უზრუნველყოფას, სამედიცინო ისტორიის წარმოებას, საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიული და ინსტრუმენტულ გამოკვლევების, ასევე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებთან მიმართებით უზრუნველყოფას, კონსულტაციების დაგეგმვა-ორგანიზებას, საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტური მკურნალობის დანიშვნას, საჭიროების შემთხვევაში დაზღვეულის ბინაზე ვიზიტის განხორციელებას.
- 1.4. პროფილაქტიკური კვლევები** - ითვალისწინებს დაზღვევის მოქმედების პერიოდში პროფილაქტიკურ და პირადი ექიმის მიერ შერჩეულ ასაკის შესაბამის საკრინინგო კვლევებს ჰიპერტონული დაავადების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და შაქრიანი დიაბეტისათვის – წელიწადში ერთხელ, შემდეგი სახეობებით: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, საერთო ქოლესტერინის განსაზღვრა სისხლში, ელექტროკარდიოგრაფია, გლუკოზის განსაზღვრა პერიფერიულ სისხლში.
- 1.5. სტომატოლოგიური პროფილაქტიკური მომსახურება (კლინიკა „უნივერსი - შპს ინტერმედ ტურში“)** - ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ სამედიცინო ჩვენების გარეშე კლინიკა „უნივერსი - შპს ინტერმედ ტურში“ შემდეგ სამედიცინო მომსახურებას: ორთოპედის, ორთოდონტის, თერაპევტის, იმპლანტოლოგის კონსულტაცია, ბავშვებში ფტო-ლაკის აპლიკაცია, ვიდუო კამერით დათვალიერება.
- 1.6. ჰოსპიტალური მომსახურება:** მკურნალობა, რომლის დროსაც პაციენტი სტაციონარული ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში იკავებს საწოლს ღამისთევით.
- 1.6.1. გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება-** ითვალისწინებს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული იმ აუცილებელი სამედიცინო ღონისძიებების (მედიკამენტები, დიაგნოსტიკური მანიპულაციები, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა) ხარჯების ანაზღაურებას, რომელთა 24 საათზე მეტი გადავადების პირობებში გარდაუვალია დაზღვეულის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება და რომლებიც დაზღვეულს გაეწევა სამედიცინო დაწესებულებაში ისე, რომ პაციენტი იკავებს საწოლს სამედიცინო დაწესებულებაში ერთი საწოლ/დღე და მეტი ხნით. ანაზღაურებას ექვემდებარება მიმდინარე სადაზღვეო პერიოდის განმავლობაში ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯები წინამდებარე დაზღვევის პოლისში განსაზღვრული გადაუდებელი შემთხვევების პოზიტიური სიის შესაბამისად. აგრეთვე, ანაზღაურდება ინფექციური მართვის პროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის პირთათვის ანდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებით განსაზღვრული გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების (გარდა I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლა) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის 279 დადგენილებით „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული „ინფექციური დაავადებების მართვის“ პროგრამით განსაზღვრული შემთხვევები.

1.6.1.1. გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება ჩამონათვალი (პოზიტიური სია):

D65 დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედედება [დეფიბრინაციული სინდრომი]

ალერგოლოგია

J45 ასთმა (შეტევათა სტადია). ალერგია ანაფილაქსიური მდგომარეობისა და ხორხის შეშუპების განვითარების ტენდენციით

J46 ასთმური სტატუსი (status asthmaticus)

L50 ურტიკარია.

T78.1 საკვების მავნე რეაქციები (კვებითი ალერგია).

T78.3 ანგიონევროზული შეშუპება.

T78.4 ალერგია, დაუზუსტებელი (ალერგია მწერის ნაკბენზე).

T88.7 პათოლოგიური რეაქცია სამკურნალწამლო საშუალებაზე, ან მედიკამენტზე დაუზუსტებელი (წამლისმიერი) ალერგია

T80.6 შრატისმიერი დაავადება

ანგიოლოგია, ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებითა და ინტენსიური თერაპიით

I26 ფილტვის არტერიის (ვენის) ინფარქტი, თრომბოემბოლია, თრომბოზი.

I74 არტერიების ემბოლია და თრომბოზი.

I71.3 მუცლის აორტის ანევრიზმა, გამსკდარი.

I71.5 თორაკოაბდომინური აორტის ანევრიზმა გასკდომით.

I72 ანევრიზმების სხვა ფორმები (გამსკდარი)

გასტროენტეროლოგია

K72.0 ღვიძლის მწვავე და ქვემწვავე უკმარისობა (ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, ფულმინანტური უკმარისობა)

K61.2 ანო-რექტული აბსცესი

გინეკოლოგია

O00 საშვილოსნოს გარე ორსულობა

ენდოკრინოლოგია

E27.2 ადისონური კრიზი

E05.5 თირეოიდული კრიზი ან შეტევა

E10.1 ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, კეტოაციდოზით (მძიმე დიაბეტური კეტოაციდოზი, ჰემოდინამიკური ან ნევროლოგიური დარღვევებით, რესპირატორული უკმარისობით ან მძიმე აციდოზით)

E11.1 ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი, კეტოაციდოზით (მძიმე დიაბეტური კეტოაციდოზი, ჰემოდინამიკური ან ნევროლოგიური დარღვევებით, რესპირატორული უკმარისობით ან მძიმე აციდოზით)

E03.5 მიქსედემური კომა

კარდიოლოგია (ქირურგიული და ინვაზიური ჩარევის გარეშე)

I21 მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი

I20.0 არასტაბილური სტენოკარდია

I50.1 მარცხენა პარკუჭოვანი უკმარისობა, მწვავე

I50.9 გულის მწვავე უკმარისობა

I47 პაროქსიზმული ტაქიკარდია (ჰემოდინამიკის მძიმე დარღვევით)

I48 წინაგულეების ფიბრილაცია და თრთოლვა (ჰემოდინამიკის მძიმე დარღვევით)

ნევროლოგია

ა) ცნს-ის ანთებითი ავადმყოფობები/ეპიზოდური და პაროქსიზმული დარღვევები/პოლინეიროპათიები:

G61 ანთებითი პოლინეიროპათია

G04 ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი

G45 გარდამავალი ცერებრული იშემიური შეტევები და მასთან დაკავშირებული სინდრომი.

G46 თავის ტვინის სისხლძარღვოვანი სინდრომები ცერებროვასკულური დაავადებების დროს

ბ) ეპილეფსია/ნერვ-კუნთოვანი ავადმყოფობები/ნერვული სისტემის სხვა დაზიანებები:

G70 Myasthenia gravis (მძიმე მიასთენია)

G41 ეპილეფსიური სტატუსი

G93.2 კეთილთვისებიანი ქალაშიდა ჰიპერტენზია მწვავედ განვითარებული ნეიროქირურგია

ოპერაციული მკურნალობა/ინტენსიური თერაპია:

S06.4 ეპიდურული სისხლჩაქცევა

I61 ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა

G93.5 თავის ტვინის კომპრესია

G93.6 ცერებრული შეშუპება

G91 ჰიდროცეფალია მწვავედ განვითარებული

ნევროლოგია

N17 თირკმლის მწვავე უკმარისობა (ურემიული ენცეფალოპათია, ჰიპერკალემია, აციდოზი, ჰემოსტაზის დარღვევა)

N00 მწვავე ნეფრიტული სინდრომი (რენული ენცეფალოპათია, გულის შეგუბებითი უკმარისობა, თირკმლის მწვავე უკმარისობა)

N10 მწვავე ტუბულო-ინტერსტიციული ნეფრიტი [მწვავე პიელონეფრიტი]

ოტოლარინგოლოგია

ა) IV სირთულის ოპერაციები

J01 მწვავე სინუსიტი (ქალასშიდა ან ორბიტალური გართულებებით)

G06.0 ინტრაკრანიალური და ინტრასპინალური აბსცესი და გრანულომა

H83.0 მწვავე ლაბირინთიტი

H66.4 შუა ყურის ჩირქოვანი ანთება, დაუზუსტებელი (გართულებული მასტოიდიტით)

H66.2 შუა ყურის ქრონიკული ეპიტიმპანურ-ანტრალური ჩირქოვანი ანთება (გართულებული სახის ნერვის ნევრიტით))

H66.3 შუა ყურის სხვა ქრონიკული ჩირქოვანი ანთება (გართულებული სახის ნერვის ნევრიტით)

ბ) III სირთულის ოპერაციები

J39.0 რეტროფარინგეული და პარაფარინგეული აბსცესი

J05 მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი და ეპიგლოტიტი (მძიმე სუნთქვის უკმარისობა, ცენტრალური ციანოზი, სატურაციის დაქვეითება)

გ) უკანა ტამპონადა

R04.0 ცხვირიდან სისხლდენა (უკანა ტამპონადით)

რევმატოლოგია და მეტაბოლური დარღვევები

M10 პოდაგრა (გამწვავებული, გართულებული პოდაგრული სტატუსით)

I00-I02 მწვავე რევმატიზმი რევმატული ცხელებით

უროლოგია

N20 თირკმლის და შარდსაწვეთის კენჭები (ობსტრუქციული უროპათია - (ცისტოსკოპია, კათეტერიზაცია, ურეთერორენოსკოპია)

N40 პროსტატის ჰიპერპლაზია (შარდის შეკავება, მაკროჰემატურია - შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ცისტოსტომა)

N23 დაუზუსტებელი თირკმლის ჭვალი (ცისტოსკოპია, კათეტერიზაცია, ურეთერორენოსკოპია)

N47 გრძელი ჩუჩა, ფიმოზი, პარაფიმოზი

N44 სათესლე ჯირკვლის შემოგრება

R33 შარდის შეკავება (ოპერაცია-ეპიცისტოსტომია) ოპერაცია-ტროაკარული ეპიცისტოსტომია/კათეტერიზაცია

R33 შარდის შეკავება

ქირურგია

ა) IV სირთულის ოპერაციები

A48.0 აიროვანი განგრენა

K56 პარალიზური გაუვალობა და ნაწლავის ობსტრუქცია თიაქრის გარეშე

K25 კუჭის წყლული (გართულებული დეკომპენსირებული პილოროსტენოზით)

K26 თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული (გართულებული დეკომპენსირებული პილოროსტენოზით)

K27 პეპტიური წყლული, დაუზუსტებელი ლოკალიზაციით (გართულებული დეკომპენსირებული პილოროსტენოზით)

K85 მწვავე პანკრეატიტი

K65.0 მწვავე პერიტონიტი (გავრცელებული)

ბ) III სირთულის ოპერაციები

A48.0 აიროვანი განგრენა (კერის რადიკალური მოცილებით)

S36.0 ელენთის ტრავმა

S36.9 მუცლის ღრუს დაუზუსტებელი ორგანოს დაზიანება

K43.0 მუცლის წინა კედლის თიაქარი გაუვალობით, განგრენის გარეშე

K45.0 სხვა დაზუსტებული მუცლის თიაქარი გაუვალობით, განგრენის გარეშე (დიდი ზომის ან გიგანტური)

I70.2 კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი [ათეროსკლეროზული განგრენა]

E10.5 ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]

E11.5 ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]

E12.5 კვების დარღვევასთან დაკავშირებული შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]

E13.5 სხვა დაზუსტებული შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]

E14.5 დაუზუსტებელი შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]

K25.1 კუჭის პეპტიური წყლული, დაუზუსტებელი ლოკალიზაციით მწვავე, პერფორაციით

K26.1 თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული მწვავე, პერფორაციით

K65.0 მწვავე პერიტონიტი (ადგილობრივი)

K80.0 ნადვლის ბუშტის ქვები მწვავე ქოლეცისტიტით (ჩირქოვანი, განგრენული)

K81.0 მწვავე ქოლერისტიტი (ჩირქოვანი, განგრენული)

K40.0 ორმხრივი საზარდულის თიაქარი, გაუვალობით განგრენის გარეშე

K40.1 ორმხრივი საზარდულის თიაქარი, განგრენით

K40.4 ცალმხრივი, ან დაუზუსტებელი საზარდულის თიაქარი, განგრენით

K41.0 ორმხრივი ბარძაყის თიაქარი, გაუვალობით, განგრენის გარეშე

K41.0 ორმხრივი ბარძაყის თიაქარი, განგრენით

K41.4 ბარძაყის ცალმხრივი ან დაუზუსტებელი თიაქარი განგრენით

K42.1 ჭიპის თიაქარი განგრენით

K43.1 მუცლის წინა კედლის თიაქარი განგრენით

K45.1 მუცლის სხვა დაზუსტებული თიაქარი განგრენით

K40.3 საზარდულის ცალმხრივი ან დაუზუსტებელი ჩაჭედილი თიაქარი გაუვალობით განგრენის გარეშე

K41.3 ბარძაყის ცალმხრივი ან დაუზუსტებელი ჩაჭედილი თიაქარი გაუვალობით განგრენის გარეშე

K42.0 ჭიპის თიაქარი გაუვალობით განგრენის გარეშე

K43.0 ვენტრალური ჩაჭედილი თიაქარი გაუვალობით განგრენის გარეშე

K45.0 მუცლის სხვა დაზუსტებული ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე

K92.0 ჰემატემეზისი

K92.1 მელენა

K92.2 გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი

გ) II სირთულის ოპერაციები და კონსერვატული მკურნალობა

K35.9 მწვავე აპენდიციტი, დაუზუსტებელი (კატარული, ფლეგმონური, განგრენული)

K92.0 ჰემატემეზისი (კონსერვატული მკურნალობა)

K92.1 მელენა (კონსერვატული მკურნალობა)

K92.2 გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი (კონსერვატული მკურნალობა)

K85 მწვავე პანკრეატიტი (კონსერვატული მკურნალობა)

ყბა-სახის ქირურგია

ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებით

K10.2 ყბების ანთებითი ავადმყოფობები (პირის ღრუს ფსკერის, ყბისქვეშა, ყბაყურსადეჭი, საფეთქლის მიდამოს ფლეგმონები, რეტრობულბალური და ხახის გვერდ.მიდამ. აბსცესები)

ჰემატოლოგია

ქირურგიული მკურნალობა – სპლენექტომია

D69.3 იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა - კრიზული მდგომარეობის დროს

C94.7 სხვა დაზუსტებული ლეიკემია - კრიზული მდგომარეობის დროს

D55 ფერმენტული დარღვევებით გამოწვეული ანემიები - კრიზული მდგომარეობის დროს

D56 თალასემია - კრიზული მდგომარეობის დროს

D57 ნამგლისებურ-უჯრედული დარღვევები - კრიზული მდგომარეობის დროს

D58 სხვა მემკვიდრული ჰემოლიზური ანემიები - კრიზული მდგომარეობის დროს

D59 შექნილი ჰემოლიზური ანემიები - კრიზული მდგომარეობის დროს

1.6.2. პოსპიტალიზაცია უბედური შემთხვევის გამო - ითვალისწინებს მიმდინარე სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას იმ სამედიცინო ღონისძიებების (მედიკამენტები, დიაგნოსტიკური მანიპულაციები, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა, სტანდარტული და/ან რეანიმაციული პალატის ხარჯები) ღირებულების ანაზღაურებას, ბარათის შესაბამისად, რომელთა 24 საათზე მეტი ხნით გადავადება იწვევს დაზღვეულის სიკვდილს ან დაინვალიდებას.

სადაზღვევო შემთხვევად ითვლება და ანაზღაურებას ექვემდებარება მიმდინარე სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მწვავე გაუარესებასთან დაკავშირებული სამედიცინო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც გაეწევა დაზღვეულს ისე, რომ ის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე იკავებს საწოლს სამედიცინო დაწესებულებაში.

1.6.3. გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება - (მოცდის პერიოდი 12 თვე) ითვალისწინებს შესაბამისი სამედიცინო ჩვენებისას პირადი ექიმის/მზღვეველის მიერ დადასტურებული ჰოსპიტალური (მედიკამენტები, დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციები, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა, სტანდარტული პალატის ხარჯები) მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად. გეგმიური ჰოსპიტალურ მომსახურების ჯამური ლიმიტი, ჰოსპიტალში საწოლდღის დაკავების შესაბამისად, იყოფა ორ მომსახურების ტიპად:

1.6.3.1. ერთ საწოლდღეზე მეტი ხნის ვადით გეგმიური ჰოსპიტალიზაცია - ითვალისწინებს გეგმიური ჰოსპიტალურ მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას პოლისის პირობების შესაბამისად, ისე რომ დაზღვეული ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე თავსდება კლინიკაში და იკავებს საწოლს ერთ საწოლდღეზე მეტი ხნის ვადით.

1.6.3.2. ერთ საწოლდღიანი გეგმიური ჰოსპიტალიზაცია - ითვალისწინებს გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას პოლისის პირობების შესაბამისად, ისე რომ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე დაზღვეული იკავებს საწოლს.

1.6.4. შენიშვნა:

1.6.4.1. ენდოპროთეზირება - ითვალისწინებს, ენდოპროთეზირებისთვის საჭირო ქირურგიული ჩარევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას პოლისის პირობების შესაბამისად. მომსახურებაზე ვრცელდება მოცდის პერიოდი 12 თვე.

1.6.4.2. იმპლანტაცია - ითვალისწინებს იმპლანტაციის ქირურგიულ ჩარევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას პოლისის პირობების შესაბამისად. მომსახურებაზე ვრცელდება მოცდის პერიოდი 36 თვე.

